„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

ვაზ[...]

| თვე | მან. | | | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | | | 6 | — |
| 11 | 9 | | | 5 | 50 |
| 10 | [illegible] | | | 4 | 75 |
| 9 | 8 | | | 3 | 50 |
| 8 | 7 | | | 2 | 75 |
| 7 | 6 50 | | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1890 1877—1890

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 30 ოქტომბერს,

ბენეფისი

მ. ა. აბაშიძისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**მსხვერპლი უხასიათობისა**

დრამ. 4 მოქმედ. გად. მ. ნასიძისაგან.

II

**ადვოკატთან**

ვოდევ. 1 მოქ. გუნიასი.

**მოთამაშენი:** ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა, ავალიშვილისა, საფაროვისა, გურჯიძისა, ციციშვილისა, ტარიელოვისა: ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათიროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ბ-ნნი წევრნი კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისანი მიწვეულნი არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც მოხდება შაბათს, 27 ამა ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მიმომდინარე საქმეები;

2) მოხსენება კ. გორბიჩევისა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია კავკასიაში აბრეშუმის კეთებისა და მოვლის საქმე.

არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ ამ კრებას.

ტფილისი, 25 ოქტომბერი

დრო იყო და მასუკან დიდს ხანს არ გაუვლია, რომ მთელის ევროპის ყურადღება თ. ბისმარკისკენ იყო მიქცეული. ევროპის ჟურნალ-გაზეთობა გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ამ საკვირველ „რკინის კაცს". ყოველი იმისი ფიქრი, ყოველი იმისი განზრახული საქმე საბაასოდ და სამასლაათოდ იყო გამხდარი. ასე გასინჯეთ, მწერლობა თ. ბისმარკის წარბის შეჭმუხვნასაც-კი უყურადღებოდ და აღუნიშვნელად არა სტოვებდა. ეს სანატრელი დრო ბისმარკისთვის სამუდამოდ წავიდა. ოდესმე ძლევა-მოსილის გმირის სახსენებელიც აღარსად არის ეხლა ყოველ დღეს ვინ იტყვის, ხშირად კვირაც ისე სრულდება, რომ მოგონებითაც აღარ იგონებენ მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს საპოლიტიკო მოღვაწეს.

ეხლა მისი ადგილი დაიჭირა ვილჰელმმა. ეს მოუსვენარი გერმანიის ახალგაზდა იმპერატორი, თითქოს სიცოცხლეს ესწრაფისო და ჩქარობს დასტკბეს ყოველ-გვარის სოფლიურის სიამე-სიტკბოებითა, თავის დღეს სულ მოგზაურობაში ატარებს. ევროპის მწერლობაც ჩრდილივით უკან დასდევს საკვირველს გვირგვინოსანსა და თვალს არ აშორებს მის მოგზაურობას. თითქმის მთელი ევროპა, ჰოლანდიასა და პირინეის ნახევარ-კუნძულს გარდა, კინაღამ ორჯელ მოიარა ამ ორის წლის განმავლობაში. მოგზაურობს ვილჰელმი თავის იახტათი „ჰოგენცოლერნით", რომელიც გაგიჟებით უყვარს და, ასე გასინჯეთ, საწოლი და მოსასვენი ოთახები ამ გემზედ თავის საკუთარის ხელით ნახატ სურათებით შეუმკია და სხვის ხელოვნებისათვის იქ ადგილი არ დაუთმია.

ახალგაზდა იმპერატორი, საცა კი მივა, მარტო სულ მშვიდობიანობასა და მყუდროებაზე ლაპარაკობს. ინგლისის დედოფალი ვიქტორია დაარწმუნა, რომ ევროპის მშვიდობიანობას არა რაიმე საფრთხე არ მოელისო; ამასთანავე, თითქოს ინგლისის ადმირალიბძანდებოდეს, დარიგება მისცა, როგორ უნდა მოეწყოს ინგლისის ჯარი. ინგლისიდამ წამოსულმა ბელგიის მეფე ლეოპოლდი ინახულა და უთხრა, სანამ მე ვმეფობ და პირში სული მიდგია, ვეცდები, რომ ევროპაში თოფი არ გავარდესო. ვილჰელმმა იქვე მიიღო სამადლობელი ადრესი კათოლიკე-მუშათა კრებულისაგან. ამ ორის წლის მეფობაში ვილჰელმმა უკვე დაიმსახურა საპატიო სახელი „იმპერატორი მუშებისა".

შემდეგ იმპერატორმა შეიარა ჰელჰოლანდის მწირს კუნძულზედ, სადაც სულ სამი საათი დაჰყო და სადაც მაინც ორი სეფესიტყვა წარმოსთქვა. სიხარულით ტოკავს ჩემი გულიო, სთქვა იმპერატორმა, რომ სისხლ-დაუღვრელად შემოვიერთეთ უკანასკნელი ნაჭერი გერმანიის იმპერიისა, რომ ამის მადლობელი უნდა ვიყვეთ დაბრძენებულის ინგლისის დედოფლისა, რომელიც დიდ სიყვარულს იჩენს გერმანიის ერის მიმართ და ერთგულს მეგობრობას გვიცხადებსო.

არც რუსეთი დაუტოვებია ვილჰელმს წელს უნახავად. ბარე ექვსი დღე დაჰყო პეტერსგოფში და ნარვაში ჯარების აღლუმზედ. აქაც გერმანიის იმპერატორი სულ მშვიდობიანობის შესახებ ლაპარაკობდა. რუსეთიდგან იმპერატორი უცფად, მოულოდნელად წავიდა ბერლინში. გაზეთებმა ამ უცბად წასვლას სხვა და-სხვა კილო გამოაბეს და გამართეს დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, ვითომ იმპერატორს სდომებოდეს კავშირის შეკვრა რუსეთთან და, რადგან საწადელს ვერ მიაღწიაო, გამწყრალი ბერლინს გაეშურა და ვითომ გამოსაჯავრებლად საზღვარზედ ორი სამხედრო ციხე-სიმაგრე დაათვალიერა მუქარის ნიშნადაო.

ამ ამბავთან საყურადღებოა ფელდ-მარშალის მოლტკეს დღესასწაული. იმპერატორი ვილჰელმი ეცადა, რაც შეიძლებოდა, საგანგებოდ გადაეხადა სახელ-განთქმულ სარდლის პატივსაცემლად გამართული დღესასწაული. საკუთრივ იმპერატორმა მიართვა საჩუქრად მოხუცს ფელდ-მარშალს ძვირფასი კვერთხი და ბძანა, რომ ბერლინის მეციხოვნე ჯარის დროშანი სარდლის წინაშე მოეხარნათ. ვგონებთ, პირველია, მონარქისაგან ამ გვარად პატივისცემა სარდლისა; სამხედრო ისტორია ამ გვარს ამბავს არ მოგვითხრობს.

დიაღ, სწორედ გაუგებარია ამ ახალგაზდა იმპერატორის ორ-გვარობა, ორ სახეობა. ერთის მხრით ჯარს ეტრფის, იმის ალერსშია, დღე და ღამ იმის წარმატებასა ფიქრობს, მზაა სიცოცხლე გასწიროს იმის საკეთილ-დღეოდ და მეორეს მხრით საქვეყნოდ, საჯაროდ ღაღადებს, მშვიდობიანობა მსურს, იმისი ერთგული მომხრე ვარო და სულ იმასა სცდილობს, რომ ევროპაში მყუდროება არ დაირღვეს. ამასთანავე ერთგულად ადევნებს თვალ-ყურს გაჭირვებულის მუშა-ხალხის ყოფას, სცდილობს, როგორმე დაეხმაროს მუშებს, სთხოვს მთელს ევროპას, დამეხმარეთ, სამართლიანად გადავწყვიტოთ მათი საქმეო, რადგან იმათ კეთილ-დღეობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს მომავალი. მაგრამ როგორ უნდა გადასწყდეს საკეთილოდ მუშათა საქმე, როდესაც აუარებელი ჯარის შესანახად*) ყოველს წელს ერს ხარჯი ემატება? ან მუშების კეთილ-დღეობა, ან ჯარების მომატება, ან ერთი, ან მეორე!? ვილჰელმს-კი ორთავენი უნდა, უნდა არც წვადი დასწვას, არც შამფური, საქმის ვითარება-კი ისეთია, რომ მათი ერთად მოთავსება ყოვლად შეუძლებელია. იმპერატორის ორს სურვილს შორის დიდი განსხვავებაა, შუა უზის დიდი ზღვარი. როგორ დაახწევს თავს ასეთს მოჯადოვებულს წრეს ახალგაზდა გვირგვინოსანი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ა. ფრონელი

*) ამ ათის წლის განმავლობაში ავსტრიამ, იტალიამ და გერმანიამ შვიდი ათას მილიონზე მეტი დახარჯეს ჯარების საომრად მომზადებისათვის.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, შტაბის დარბაზში საგეოგრაფიო საზოგადოების კრება იყო. კრებას შარშანდელის წლის ანგარიშში მოახსენა ლ. პ. ზაგურსკიმ. ამ ანგარიშში ბ-ნი ზაგურსკი შეეხო იმ გარემოებას, რომ ჩვენში, კავკასიაში, ამ ბოლო დროს ფრიად გამრავლდ-

## ფელეტონი

### მუშკამბარი

(ხალხური ზღაპარი, გაგონილი მარტყოფელ ქალის მარიამ მანველიძისაგან და ჩაწერილი „ქართველი ოსებში"-ს მიერ)

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ორი მაზლის ცოლი და ცხოვრებდნენ ერთად; უნცროსი მაზლის ცოლი იყო ფეხ მძიმეთ და ინახამდა ე. ი. უქმობდა ოთხშაბათ პარასკევის ძალს, ამიტომ, ერთხელ უფროსმა მაზლის ცოლმა ჰკითხა ამ უნცროსს: რათ უქმობთ ოთხშაბათ-პარასკევის ძალსაო? უნცროსმა მიუგო: იმიტომ ვუქმობ, რომ გამიგონია, ფეხ მძიმობის დროს რომ დედაკაცმა ოთხშაბათ-პარასკევი იუქმოს, მშობიარობის დროს დაეხმარებიან იმას, ვინც იუქმებსო. უფროსმა მაზლის ცოლმა ამაზედ გაიცინა და უთხრა: მაშ კარგი, რაკი ეგრეა, აბა გამოგიჩნდებაო, მოეიდნენ და გიშველონ იმათ, მე-კი ზედაც არ შემოგხედამო და მართლა მშობიარობის დროს აღარ მიხედა უნცროსს მაზლის ცოლს, დაჰკრა ფეხი და წავიდა სხვაგან. საწყალი უნცროსი მაზლის ცოლი დარჩა მარტოკა, ასტკივდა მუცელი და რასაკვირველია ლოცულობდა სიმარტოვეს; ამ დროს შეხედა და შევიდა სახლში ორი უცნობი ქალი, გაუშალეს ლოგინი ამ დედაკაცს, მოალოგინეს და გაუჩნდა ქალი; შემდეგ ჰკითხა მელოგინემ უცნობ ქალებს, ვინა ბძანდებით, თქვენი ვინაობა შემატყობინეთო; იმათ უპასუხეს, ჩვენა ვართ ოთხშაბათ პარასკევნი, და შენ რომ ჩვენს ძალს ინახამდი ე. ი. უქმობდი, ამიტომ მოვედით შენს მოსაელელათაო; შემდეგ ყმაწვილიც ჩაუწვინეს. თითონაც ჩააწვინეს მშვენიერს ლოგინში და დააპირეს წასვლა როცა რომ მიდიოდნენ ერთმანეთს უთხრეს, რითიმე დავასაჩუქროთ ეს ყმაწვილიო; მაშინ ოთხშაბათმა თქვა, მე დამისაჩუქრებია მითი რომ, როცა იტიროს, ცრემლის მაგიერათ მარგალიტები სცვიოდეს, და როცა იცინოდეს, პირიდამ ია და ვარდი სცვიოდესო. ახლა პარასკევმა სთქვა: მე დამისაჩუქრებია მით რომ, როცა პირი დაიბანოს, მისი პირის ნაბანი ოქროს ზოდათ იყინებოდეს და როცა დადიოდეს მუშკამბარი ეჰრებოდესო. ამას შემდეგ ადგნენ და წავიდნენ ოთხშაბათი და პარასკევი. მერე მოიგონა უფროსმა მაზლის ცოლმა ეს უნცროსი მაზლის ცოლი და თქვა: აბა ერთი წავიდე ვნახო, რა მოუვიდაო, მივიდა, შევიდა შინ, შეხედა, მშვენიერს ხუთფა ფარჩის ქვეშაგებში წევს მისი მაზლის ცოლი; მივიდა ახლა ყმაწვილი ენახოვო, გადახადა და ნახა რომ ყმაწვილს ეტირნა და მარგალიტით ავსებოდა აკვანი. ოჰ, შეშურდა ძრიელა, მოკრიფა ის მარგალიტები და, სუ ჯიბე უბეები გაიმსო. მერე მელოგინე მაზლის ცოლმა უთხრა ამ უფროსს, თუ ღმერთი გწამს, ერთი მიბანე ყმაწვილი და ნაბანი წყალი-კი არ გადაღვარო, ისე დადგიო; მართლაც აბანა ყმაწვილი და დადგა ნაბანი, რომელიც პატარა ხანს უკან გაიყინა ოქროს ზოდათ; მემრე რაკი გაიგო უფროსმა მაზლის ცოლმა ამ ყმაწვილის ამბავი, რომ ტირილში თვალებიდან მარგალიტები სცვიოდა და ნაბანები ოქროს ზოდათ ეყინებოდა, შემდეგ თითქმის ძალათაც ატირებდა ხოლმე ყმაწვილსა და ხშირათაც აბანებდა. რასაკვირველია, ამ ნაირად ეს ორი მაზლის ცოლნი გამდიდრდნენ, დაიდგეს მშვენიერი დარბაზები და სხვა; ახლა სიცილი რომ შეიძლო ამ ქალმა, რამდენიც გაიცინებდა, იმდენი ია და ვარდი სცვიოდა; სიარული რომ შეიძლო და დადიოდა, მუშკამბარი ეჰრებოდა; ეს ქალი სახითაც ხომ გაბადრულს მთვარესა ჰგავდა. ქალი გასათხოვარი რომ შეიქნა, მოვიდა ქალიანთას ერთი მეფანდურე, დაუკრა ფანდური, გაიგონა ქალმა ფანდურის ხმა, გამოვიდა აივანზედ და დაუწყო მეფანდურეს ყურება. მეფანდურეს სიტყვებზედ გაეცინა ქალსა და გადმოსცვივდა პირიდგან ია და ვარდი, ახლა გაბრუნდა, ქალმა გაიარა და მოეჰრა მუშკამბარი. ამ ქალის სუყველაფერი გარემოება გამოიკითხა მეფანდურემ, ყველა შეიტყო, წავიდა და მოახსენა თავიანთ ხელმწიფის ვაჟს, ესეთი და ესეთი მშვენიერი ქალი ვნახე და სწორედ თქვენი შესაფერი არიო. ამ ხელმწიფის შვილს მეფანდურის სიტყვებზედ ქალის სიყვარული ჩაუვარდა გულში, ადგა და წავიდა იმ ქალის სანახავად. იარა, იარა და მივიდა ქალიანთას, მიუგზავნა კაცი, რომ ხელმწიფის შვილი ვარ, გზაზედ დამიღამდა და ამაღამ დამაყენეთო. იმათაც, რასაკვირველია, დიდის სიხარულით მიიღეს; იმ ღამეს ხელმწიფის შვილმა დაუწყო თვალიერება ქალს, დაინახა რომ სიცილის დროს ია და ვარდი სცვიოდა, დაინახა, რომ სიარულის დროს მუშკამბარი ეჰრებოდა, იმდენი ეცადა, ნახა, როცა ქალმა პირი დაიბანა და მისი პირის ნაბანი ოქროს ზოდათ გაიყინა; ესენი სულ ყველაფერი რომ ნახა და დარწმუნდა, ხელმწიფის შვილმა მეორე დღეს მიუგზავნა კაცი ქალიანთას, თქვენი ქალი მომათხოვეთო; იმათაც გაეხარდათ, რასაკვირველია, რომ ხელმწიფის შვილმა მათი ქალი ითხოვა და იკადრა. ხელმწიფის შვილმა მაშინვე დანიშნა ქალი, მერე დაუდო ვადა, რომ ამა-და-ამ დროსთვის მოემზადეთ, მოვალ და ჯვარს დავიწეროო, ადგა და გასწია თავის სახლისკენ. რასაკვირველია, მივიდა ისევ შინა, თავის დედას ახარა, დედი, მეფანდურის სიტყვა მართალი გამოდგა და დავნიშნე კიდეც ქალიო; ახლა დედამ უთხრა: ვაიმე, შვილო, ხომ არ მოგატყუესო? არა, დედი, მე თვითონ ვნახე ქალის ყველა მოქმედება. ამო-

ნენ ცრუ-ლინგვისტნი, რომელთაც ადგილობრივ ენათა და ხალხოსნობისა არა გაეგებათ-რა, მაგრამ დიდ-დიდ წიგნებს-კი შეჰყავთ მკითხველი ზნე-ჩვეულებისა, ენისა და სხვათა გარემოებათა შესახებაო. ხოლო მეცნიერული ამ გვარ წიგნებში სრულიად არა არის-რაო. ამ აზრის დასასურათებლად რამდენიმე მაგალითსაც მოიყვანს. ესლა ხანს ბატონ ზაეიძეს დაბეჭდა უსლარის მიერ შედგენილი წიგნები შესახებ აფხაზთა, სვანთა და ლეკთა ენებისა. ბ-ნს ზაეიძეს სრულიად შესცვლია ბარონ უსლარის მიერ მიღებული გეგმა კავკასიის ხალხთა ენის შესწავლისა, შესცვალა აგრეთვე მის მიერ შედგენილი ანბანი და მოიგონა ახალი, რომელიც სრულიად არ შეესაბამება აქაურ ენებსაო. გარდა ამისა მის მიერ მოგონილ ანბანის, ზაეიძეს უსლარის გამოცემულ წიგნებში კიდევ ითხოვლავ სხვა ანბანიც იხმარებაო, ასე რომ ამ სახით გამოცემულ წიგნების თავი და ბოლო კაცს ვერ გაუგიაო. სხვათა შორის ამ უმზგავს ანბანებით დაბეჭდილია მე-X წიგნი „კავკასიის ტომთა და ადგილთა აღსაწერ მასალათა კრებულისა“, რომელშიაც მოქცეულია ბ-ნ გრენის წერილიც შესახებ ხევსურების ენისა. ეს ის გრენია, რომელიც წარგზავნილ იყო სამეგრელოში მეგრელთა ენის შესასწავლად და ამ ენაში აღმოაჩინა 15-მდე ხმოვანი ასო, რომელსაც ამ გვარი ასოები მეგრულში სულ ბევრი-ბევრი შიდი ძლივს არისო.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ საქართველოს ეგზარხოსი პალლადი, პეტერბურგიდგან გამომგზავრება ტფილისში ამ თვის ოც-დარვას; მის მაღალ ყოვლად სამღვდელოებისთვის კანცელარიაში ბრძანება კიდეც, რომ ქაღალდები გასასინჯად და ხელის მოსაწერად პეტერბურგს აღარ გაეგზავნოს.

*** გუშინ, ამ თვის 26 ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდგან ჟანდარმების უმთავრესის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი პეტროვი, რომელსაც მცხეთაში მიეგებნენ რკინის გზისა და საგუბერნიო ჟანდარმების უფროსნი. გენერალ მაიორმა პეტროვმა გუშინვე დაათვალიერა რკინის გზის ჟანდარმების პოლიციის მოხელენი.

*** მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოზი ალექსანდრე, საქართველოს ვიკარი, გუშინ-წინ, ამ თვის 25, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლით № 12, რომელიც ნაშუადღევის 3 საათზე გადის ტფილისიდამ ბათუმში, გაემგზავრა გორს.

*** ამ კვირას, თვის 28, აკურთხებენ ტფილისის ფერისცვალების მონასტრის სამრევლო სკოლას არქიმანდრიტები: რექტორი სემინარიისა მ. ნიკოლოზი და ამ მონასტრის წინამძღვარი კესარიოსი სხვა სამღვდელოთა თანადასწრებით. ამ სკოლაში მასწავლებლად დანიშნულია ბ-ნი ქიკაძე.

*** ჩვენის რკინის გზის მატარებლებში ხშირად დიდის სივიწროვის გამო მოსიარულე ხალხი დიდს დასათმენსა და უსიამოვნებას ითმენს. აი მაგალითად ხუთშაბათს მატარებელი, № 2. სრულიად გავსილ-გატენილი იყო ხალხითა. მატარებელი უკვე მიდიოდა, რომ ბევრს დასაჯდომი ადგილი არა ჰქონდა და ფეხზედ იდგა ასასიერით. აქამდის, ესთქვათ, ბევრს ვაგონებს არ უბამდნენ მატარებელს ცუდის გზის გამო, ახლა-კი გზა გაკეთდა, გვირაბი გაყვანილია და სწორედ საკვირველია, რაღად ძუნწობენ და ერთ-ორს ვაგონს მეტს არ უბმენ, რომ ამოდენი უსიამოვნობა ააცილონ ხალხს.

*** ტფილისის რკინის გზის სადგურის წინ მდებარე ახლად გაშენებული ბაღი მეტის-მეტად უსუფთაოა და როგორც ეტყობა, სრულიად უპატრონოდ არის დატოვებული. ყველა გზა-წვრილი ამ ბაღისა უწმინდურობით არის სავსე და საძაგელს სუნს აფრცელებს გარშემო.

*** ავჭალის ქუჩა მეტად ჩუჩქიანია და დაუგველი. ერთი ბეწვა ქარი რომ ამოვარდეს, თვალებს დასთხრის ადამიანს, იმოდენა მტვერი ფუჩეჩი და ნაგავია ამ ქუჩაზედ.

*** გუშინა და დღეს დიდ ძალი მხალი და ვაშლი მოიტანეს ქართლის მოედანზედ ჯავის ხეობის ოსებმა და ქართველებმა. ფუთი ორიდამ სამ აბაზამდე ფასობს. თათრის მოედანზედ ბევრი ხახვია შემოსული და ფუთი ხახვი 22—25 კაპეიკამდე ფასობს.

*** ჩვენ მივიღეთ კედლის ქართული კალენდარი 1891 წლისა, ბ-ნ გრ. ჩარკვიანის მიერ შედგენილი, და „ქართველთა წიგნების ბეჭდვის ამხანაგობისაგან“ დაბეჭდილი. ამ კალენდარში წმინდა საკალენდრო ცნობათა გარდა ქართველთა, კათოლიკეთა და სომეხთათვის, მოთავსებულია ცნობანი შესახებ საქართველოს ისტორიისა, მთვარის ანგარიშისა, მზის ამოსვლისა და ჩასვლის ყოველ-დღეობით, ქართველთა წმინდანების ცხოვრებისა და მოქალაქეობისა და სხვა. ამას გარდა კალენდრის ფურცლების მეორე გვერდზე დაბეჭდილია „დამაკვირდიდამ“ პატარ-პატარა ლექსები, „ნაკვესები“, სამზარეულოს შესახები და სხვა სასარგებლო რჩევა-დარიგებანი. საზოგადოდ ეს ქართული კედლის კალენდარი საკმაოდ ლამაზად და სუფთად არის დაბეჭდილი. ფასი ზედ არ არის გამოცხადებული და კარგი იქნება, რომ აბაზსა და ხუთ-შაურზედ მეტად არ გაიყიდებოდეს.

*** სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო, ამიერ-კავკასიის ბანკის განყოფილების გამგებლად დაინიშნა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი პავლე ა. ეოლკოვი.

*** სოფ. პატარა თონეთში საქონლის ჭირი გაჩენილა. ამ თვის ათს რიცხვამდე ავად გამხდარა 59 სული საქონელი, იმათში დახოცილა 36 სული.

*** ელიზაბეტალის ახალშენშიაც გაჩენილა საქონლის ჭირი. სნეულება საქონელს აფალარათებს, კანკალსა ჰგვრის და ცხვირის ნესტოებიდამ ცინდლი სდის. ამ თვის ცამეტამდე ავად გამხდარა 23 სული და დახოცილა 13 სული.

*** საგურამო: ჩვენსკენაც გაჩნდა ცეცხლი ტყეში. ახატნის ტყეს აგერ მეოთხე-მეხუთე დღეა რაც ცეცხლი უკიდია და მისი გამქრობი-კი ჯერ არსად არავინა სჩანს.

*** ქუთაისი: ქართული წარმოდგენები ბ-ნ კ. მესხის თაოსნობით დაიწყება კვირას 28 ოქტომბერს. წარმოდგენილი იქნება პირველადვე სარდუს კომედია 4 მოქმედებად „აი გიდი მეგობრებო!“ თარგ. კ. ბაქრაძესმიერ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს თითქმის მთელი დასი ქალები: ე. ს. და მ. გ. მესხი, აფხაზისა, ლორთქიფანიძისა. კაცები: კ. ს. მესხი და მესხი, ნაკაშიძე, ჯანუევი, ბადრიძე, ჩარკვიანი და სხვ.

*** თიანეთი. ამ თვის 18 გაუჩნდა ყარალაანთ ტყეს ცეცხლი; ეს ტყე თიანეთიდგან ორ ვერსზეა. ისეთი სისწაფით გაძლიერდა ცეცხლი, რომ ორის დღის განმავლობაში, როგორც მოიჯარადრეები ამბობენ, 100 დღიურზედ მეტი დამწვარა. პოლიცია ფიცხლად მოექცა ამ საქმესა და აი დღესაც კომლზედ კაცს ერეკება ცეცხლის ჩასაქრობად. ჯერ-ჯერობით ცეცხლი უკიდია ძირ ნაყარს ხესა, ფიჩხსა და ფოთოლს. იმედი აქვთ, რომ ორ-სამს დღეში ცეცხლს გააქრობს ხალხი. ეს-კია რომ მაინც საჭირო იქნება ყარაულები დააყენონ ტყეს, რათა კიდევ არსად გაჩნდეს ხელ-მეორედ. ამავე დღეებში ბ-ნ ბარათაშვილის ტყესაც გაუჩნდა ცეცხლი. აქ ცეცხლი მხოლოდ ფოთლებს ეკიდა და ადვილადაც გააქრეს თვით მწყემსებმა.

*** იქიდამვე: დიდიხანია, რაც გაიქცა აქედამ ორი ავაზაკი სადულეები, რომელთაც კაცის კვლა და სხვა დანაშაულობა ჰბრალდებათ; აქამომდე ეს ავაზაკები ვერ შეიპყრეს. სადულეები ორივე ქისტები არიან და ქისტეთის ტყეში იმალებიან. ერთი სადულა ამას წინად მოჰკლეს, რაკი ვეღარას გზით, ვერ შეიპყრეს ცოცხალი; მეორე სადულასთვის ამ ერთის კვირის წინად მოუსწრიათ თიანეთის ჩაფრებს ვიღაც ქისტის სახლში და მოუწადინებიათ ცოცხალის შეპყრობა, მაგრ[...] ლა ჩაფრებს არ დამორჩილ[...] და ძალა უხმარნია. ორი ჩაფარი, [...]სა ლისი, გზირები და სხვანი გა[...] შემორტყმიან იმ სახლს, სადაც სადულა იმალებოდა; ჩაფრები იმდენსა სცდილან, რომ ავაზაკი წაუქცევიათ და შეკვრა მოუნდომებიათ, მაგრამ როგორც მოახსენა ქისტების ბოქაულმა თიანეთის მაზრის უფროსს, დახმარებიან სადულას სახლის პატრონები ათზედ მეტი ქალი და კაცი, რომელთ შორისაც ქალები უფრო მეტი ყოფილან, და მოუნდომებიათ სადულას განთავისუფლება ჩაფრების ხელიდგან. ქისტის ქალები მივარდნიან ამ განძრახვით ჩაფრებსა და დაუწყიათ ჩხუბი; როგორც ამბობენ, ჩხუბში დაუჭრიათ ჩაფარი მიხა გერსამია, მამასახლისი და რამდენიმე კაცი და კიდევ სხვანიცა და ამ ნაირად გაუნთავისუფლებიათ სადულა, რომელიც იქვე გავარდნილა ტყეში. ქალები თურმე არდონისაკენ *) მიათრევდნენ დაჭრილს ჩაფარს. ამის გამო თიანეთის მაზრის უფროსმა უბრძანა ჩაფრების უფროსს ბ-ნ ავალიანს წასვლა ქისტეთში და შეპყრობა, როგორც სადულასი, ისე იმათი, ვინც წინააღმდეგობა გასწია და სადულა გააქცია. ამ განზრახვით ბ-ნმა ავალიანმა უნდა წაიყვანოს ორმოცამდინ ამორჩეული შეიარაღებული ფშავ-ხევსური, რომლებსაც ამისთანა ამბავში წასვლა, ქორწილში წასვლად მიაჩნიათ.

*** უკვე დაუწყიათ ბეჭდვა ბ-ნ დ. ფურცელაძეს მიერ აღმოჩენილ ქართულ ხელ-ნაწერისა: „ანდერძი კათალიკოზის ანტონისა“. ეს ხელ-ნაწერი, როგორც ამბობს გაზ. „Нов. Обоз.“-ე თვით ანტონის ხელიც თურმეა დაწერილი და შიგ ბევრი ძვირფასი ცნობაა ამ შესანიშნავის კათალიკოზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ხელ-ნაწერი 1200 ცალად დაიბეჭდება ავტორის სურათითურთ.

---

*) არდონი წყალია ქისტებში.

---

ილო და უჩვენა დედას, აი მისი ნიშნებიცაო. რასაკვირველია, დანიშნულს დროს წავიდა ხელმწიფის შვილი ჯვარის დასაწერად დიდის ჯარით ჯამაათით, მივიდა ქალიანთას და დაიწერა ჯვარი; ჯვარის წერას შემდეგ ისევ თავისი ამალით დაბრუნდა შინისაკენ ხელმწიფის შვილი; პატარძალი-კი ცალკე შემდეგ მეფის წასვლისა უნდა წაეყვანათ თავისის მდადეთი. პატარძალს მდადეთ გაჰყვა თავისი დეიდა და დეიდის ქალი; პატარძლის დეიდამ წინდაწინვე მოიმზადა ერთი მარილის კვერი და ერთი პატარა ჩარექა წყალი, ჩასხდნენ ურემში და გასწიეს. კაი ძალი გზა რომ გაიარეს, პატარძალმა უთხრა დეიდას: დეიდა, პური მშიანო, დეიდამ განგებ ჰილო და მისცა მარილის კვერი; მარილის კვერი შეჭამა პატარძალმა და მოსწყურდა საშინლად წყალი, მერე უთხრა დეიდას: დეიდა, წყალი მწყურიანო, ახლა დეიდამ უთხრა: უი, შვილო, აქ წყალს ვინ იშოვნის, თუ არა თვალებზედ, მხოლოდ თვალებზე ჰყიდიან წყალსაო. როცა ძრიელ შესწუხდა საბრალო პატარძალი, უთხრა კიდევ დეიდას: დეიდა, ამომიღე ერთი თვალი და მიეცი ვისმე, ოღონდ დამალევინონ წყალიო. მართლაც ამოუღო თავის დეიდამ პატარძალს თვალი, გადავიდა იქვე გზას იქით, ვითომდა წყალს ვყიდულობო, წამოასხა თავისი ჩარექიდგან ერთი პატარა ჭიქა წყალი და მოუტანა პატარძალს, საბრალომ დალია, მაგრამ, აბა რას მოუკლამდა წყურვილს მარილ-კვერ ნაჭამს ერთი პატარა ჭიქა წყალი. გაიარეს კიდევ რამოდენიმე გზა და უთხრა კიდევ დეიდას პატარძალმა: დეიდა, ეს მეორე თვალიც ამომართვი, ოღონდ მიშოვნე სადმე წყალიო. მართლაც დეიდამ ამოართვა მეორე თვალიც და დაალევინა წყალი ისევ თავისი ჩარექიდგან; მერე ეს თვალები ჯიბეში ჩაიწყო, პატარძალს გახადა ტანისამოსი, ჩააცვა თავის ქალს, და საბრალო პატარძალი-კი გზაზედ გადააგდო, და თავისი ქალი მის მაგივრად მიუყვანა ხელმწიფის შვილს. რასაკვირველია, ხელმწიფის შვილი გამოეგება პატარძალს თავისის ამალით თუ არა, შეხედა, ეუცხოვა პატარძლის სახე და უთხრა მდადეს: ეს რატომ ასეთი ფერი ადევს ამ ქალსაო. არაფერიო, მიუგო მდადემ, გზაზედ კურდღელი გამოხტა, იმაზედ შეკრთა, შეშინდა და იმიტომ სხვანაირი ფერი დაედვაო; შენი ქალი რაღა იქმნაო და აღარ წამოიყვანე შინვე დაუბრუნეო; ჰაი სხვა ხალხიც შემოეხვივნენ პატარძალს, ზოგი თვალებში შესცქეროდა, ზოგი პირში და ზოგი რა, მაგრამ არაფერი მოქმედება არა ჩანდა რა პატარძლის, არც მარგალიტები სცვიოდა. არც ია და ვარდი და არც არა სხვა, მდადე-კი მაინც ბოდიშსა სწმენდდა პატარძალს, რომ შეშინდა და იმიტომ გახდა აგრეო. ახლა, ის საწყალი პატარძალი, რომელიც თვალებ დათხრილი გზაზედ დააგდო თავის დეიდამ, იყო მთელი დღე საღამომდე გზაზედ და ტიროდა; ტირილში გარშემო რომ აემსებოდა მარგალიტით, ახლა სხვაგან გადაინაცვლებდა ხოლმე. საღამოთი ამ გზაზედ ჩამოიარა ერთმა ღვთისნიერმა წვრილ-შვილმა მენახშირემ, რომელსაც ცხრა ქალიშვილი ჰყავნდა, და რის წვალებით დღე-დღეზედ გამოჰყვანდა ოჯახს თავისი ნახშირის ნაფასურით; მენახშირის ხმა რომ გაიგონა საბრალო თვალებ დათხრილმა ქალმა, შეუძახა; ვინა ხარ, თუ ქრისტიანი ხარ ვინმე, მოდი წამიყვანე და ბედსა გწყევ. მენახშირე მივიდა ქალთან და უთხრა: რა არი შვილო, რა გაგჭირებიაო. ქალმა უთხრა, ესვა ჩემი საქმე, ესეაო, უამბო ყველაფერი, თვალები დამთხარეს და დამაგდეს აქაო და, მამაშვილობას ეგ ნახშირის ტომრები დაცალე, მაგივრად ეს მარგალიტები ჩაყარე და მეც წამიყვანე, მადლიაო. მენახშირემ გახარებულმა, საჩქაროთი გადაყარა ნახშირი, აავსო მარგალიტით ტომრები, აჰკიდა სახედარს, შესვა ზედ ეს თვალებ დათხრილი ქალი და გასწია შინისკენ, მაგრამ თვალებს კიდევ მაინც თითო-ოროლა მარგალიტებისკენ აცეცებდა და ჰკრეფდა, ახლა თვალებ დათხრილმა ქალმა უთხრა: მამი, თავი დაანებე მაგათ, ბევრ მაგათთანაებს შეგმატებო. სახლს რო მიახლოვდა მენახშირე, დაუძახა თავის ქალებს: გამომხედეთ შვილებო, ცხრანი იყავით და მეათე დაც მოგიყვანეთო, ენახოთ, გამოიხედეს ქალებმა, რომ ნახეს თვალებ დათხრილი ქალი, უპასუხეს მამას: ჰო, ჩვენ ხომ კარგათ გვინახამ თვალებიანსა და, უთვალებოს რასაკვირველია კარგად შეინახამო; ახლა მამამ უთხრა, ჰაი შვილებო, ეს ისეთი და მოგიყვანეთ რომ თქვენც შეგინახამთ და თავის თავსაცაო. რასაკვირველია შეიტანეს მარგალიტებით სავსე ტომრები და რომ წამოცალა მენახშირემ, თავის ქალები შემოეხვივნენ და დაუწყეს კითხვა, სად იშოვნეო, ახლა მამამ უთხრა: ემაგ უსინათლომ მეათე დამ მოგიტანათ, შვილებო, ეს სარჩოვო. მერე რაკი გაუგეს ქალებმა ამ უსინათლოს რომა, ტირილში მარგალიტები სცვიოდა, სიცილში ია და ვარდი, პირის-ბანანი ოქროს ზოდათ ეყინებოდა და სიარულში მუშკამბარი ეჭრებოდა, მერე საწყალს, ძალათაც ატირებდნენ-აცინებდნენ, ჰბანდენ პირსა და იქით-აქეთ ატარებდნენ. რასაკვირველია, ერთ დროს საწყალი მენახშირე, ახლა ისე გამდიდრდა, რომ მის სარჩოს საზღვარი აღარა ჰქონდა, და ახლა-კი ამ უსინათლო ქალსაც ცივ ნიავსაც აღარ აკარებდნენ. ერთ დღეს ამ ქალმა უთხრა თავის მამობილს: მამი, ეს სარჩო ხომ ბევრი მაქვს და, წადი ამა-და-ამ ქალაქშიო, (სადაც თავისი ქმარი ხელმწიფის შვილი ეგულებოდა იქ გაასწავლა) წაიღე მარგალიტი, ია და ვარდი, ოქრო მუშკამბარი და ეგები თვალები მიყიდოვო. მართლა, ადგა ეს მენახშირე, წაიღო ყველა ესენი. გასწია, იარა-იარა და მივიდა დანიშნულ ქალაქში, გაიარ-გამოიარა ხელმწიფის

## ქუთაისის ბანკის განახლებულ კრების საყურადღებოდ

მოვიდა ის დღე, რომელმაც უნდა გამოაჩინოს იმერეთის საზოგადოების ავი და კარგი, განსაკუთრებით თავად-აზნაურთა ზნეობრივი და გონებრივი ძალა. შესანიშნავია ეს დღე ქართველთ ცხოვრებაში, შესანიშნავია იმიტომ, რომ ის არის სარკე, რომელშიაც უნდა გამოიხატოს საქართველოს ნახევარი ერის ზნეობრივი სახე. რამდენ მწარე ფიქრს მოჰგვრის ეს კრება ყველა იმას, ვისაც გული წრფელად უცემს, ვისაც ქართველის სიკეთე ახარებს, და უკაცობა-კი ატირებს.

„შეუძლია ჩვენს საზოგადოებას კარგის გარჩევა ავისაგან, თუ არა? ზნეობით მაღლა სდგას ჩვენი საზოგადოება, თუ დაცემულია და გარყვნილი? შეუძლია—საკუთრად განაგოს თავისი საკუთარი საქმე, თუ არ შეუძლია?“ აი რა ფიქრი უტრიალებს თავში დღესა და თავისის ჯერ გამოურკვეველის მოლოდინით გულს უკლავს ყოველს შეგნებულს გულ-წმინდა ქართველს.

რა უძევს წინ გასარჩევად დღევანდელს კრებას?—მან უნდა გაარჩიოს, ვინ არის მისთვის სასარგებლო კაცი და ვინ მავნებელი: ის კაცია სასარგებლო, რომელიც ორ-ორ გროშს ქრთამად urიგებს საზოგადოებას, და ეხვეწება: „მე მინდა უფროსობა და მე ამომარჩიეთო,“ თუ ის არის საზოგადოებისთვის სასარგებლო და მისთვის გულ-შემატკივარი, ვინც გულ-ხელ-დაკრეფილი მის წინ სდგას და ამბობს: „თუ სასარგებლო სანდო კაცად დამინახოთ, თქვენ თვითონ ამომირჩიეთ თქვენის საკუთარის ნება-ყოფლობით, თქვენის სურვილით, ქრთამი-კი გარყვნილობად მიმაჩნია და ვერ მოგართმევთო?!“

როდესაც გაუნათლებელი გონება-გაუხსნელი კაცი ქრთამს გასცემს, ან აიღებს, ჩვენ ის საზიზღარ, გარყვნილ კაცად, საზოგადოების მავნებელ წევრად მიგვაჩნია... რამდენად უფრო საზიზღარ უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც განათლება მიუღია და იმის მაგიერ, რომ ხალხს ჭეშმარიტი გზა უჩვენოს, მის ზნეობრივად აღზრდას ეცადოს,—გამოდის ხალხში და ქრთამებს არიგებს, არიგებს დაუფარავად, თავზე ხელ-აღებით! როდესაც გაუნათლებელი კაცი სჩადის ამ გვარს უზნეობას, ჩვენ ის დამნაშავედ მიგვაჩნია, ხოლო აქ არის მიზეზი და საბუთი, რის ძალითაც ეს დანაშაულობა რამდენადმე ეპატიება იმას: ეს მიზეზი და საბუთი არის—მისი გაუნათლებლობა, მისი გონება-გაუხსნელობა, უვიცობა. მაგრამ ვინ რა უნდა სთქვას განათლებულ მექრთამის დასაცავად, დასაფარავად?!

დიდებული პოეტი ჩვენი—დავით გურამიშვილი ამბობს:

„აწ ბრძენი უნდა სოფელში
მგრეთ, ვით წმინდა ბერია:
ცხოვრებდეს, ერს ასწავლიდეს,
გასცდოს მეცნიერია.
ბრძენმან არ უნდა იკადროს,
ურიგო რაც რამ ფერია:
ბრძენის ურიგოდ ქცევითა
ბაძით წახდების ერია“.

„ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერიო“, რომ უთქვამს პოეტს, იმიტომ უთქვამს, რომ მოწინავე კაცის ანუ დასის მაგალითი თითით საჩვენებელია ხალხისთვის, ის მართლა მაგალითია, რომლითაც ხალხს—ბრბოს ნება ეძლევა—იხელმძღვანელოს თავის ცხოვრებაში. მაშასადამე ვიკითხავთ: შესაწყნარებელია განათლებული ზნეობა-გაფუჭებული კაცი, მაგალითად ვსთქვათ განათლებული, ქრთამით ხალხის გამრყვნელი?!.

ესეც საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ არის განათლებული როდესაც ნასწავლსა და უსწავლელს შორის ვისისამე უზნეობასა და უსაქციელობაზედ დავა ატყდება, უსწავლელი ამბობს: „ჩვენ რას გვამტყუნებთ, როდესაც განათლებულები უარესს ჩადიხართო“! განათლებული ის-კი არ გახლავთ, ბატონებო, ვისაც მარტო მშრალი სწავლა მიუღია, არამედ ის, ვისაც გონებასთან გულიც გაუხსნია: გონება—სწავლისათვის, და გული—კეთილზნეობისა და კაცთ-მოყვარეობისათვის! მაშასადამე გამოირიცხეთ მექრთამე განათლებულები, ზნეობა-გაუნათლებლები ნამდვილ განათლებული დასისგან და ვინც დარჩეს (ნუ ბძანებთ, რომ არავინ დარჩებაო: დარჩებიან, დარჩებიან—გარწმუნებთ!) იმათ მიემხრეთ, ისინი შეიყვარეთ, ისინი გაიძღოლეთ წინ ყოველს საქმეში, და მაშინ შეიქნებით თქვენც ღირსნი ღრმა პატივისცემისა.

ამ წერილთან შემდეგი ბარათიც მივიღეთ ავტორისაგან. „ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, თუ ყურადღების ღირსად იცნობთ ამ ჩემს წერილს, ადგილი მისცეთ „ივერიაში“. საზოგადოება—მეკენჭეები ყოველ მხრით იკრიბებიან ქუთაისში, და ჩემის აზრით, ყველა წრფელად წარმოთქმულს აზრს მნიშვნელობა აქვს ამისთანა დროს საზოგადოებისათვის. ამიტომ იმედია, მეც გამომათქმევინებთ ჩემს გულწრფელს აზრს თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით“.

სილოვან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღეს გაზ. „Новости“-ს თანამშრომელი „ლოგენი“ იმის გამო ლაპარაკობს, რომ სასურველია თუ არა, რეცენზიები იბეჭდებოდეს სახელმწიფო თეატრში გამართულ წარმოდგენების შესახებაო. ეს ლაპარაკი გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ პეტერბურგში სახელმწიფო თეატრების სამუდამო ბილეთები არა აქვთ თურმე რეცენზიის დამწერებს, ესენი იძულებულნი არიან, საკუთარის ფულით იყიდონ ბილეთი და ისე იარონ. ასეთს მდგომარეობას საქმისას ის შედეგი მოსდევს, რომ გაზეთებში მხოლოდ პირველ წარმოდგენების რეცენზია იბეჭდება, შემდეგ ხმაკრინტი აღარ იძვრება თეატრის შესახებ და ამით საქმე ცუდად მიიმართება. „ლოგენის“ აზრით,

არამც თუ სასურველია, არამედ აუცილებლად უნდა იბეჭდებოდეს რეცენზიები. წარმოდგენა საზოგადო გასართობია და ამ გასართობს მეთვალყურედ გაზეთი უნდა უდგეს. ამიტომაც გაზეთის წარმომადგენლებს თეატრში შესვლა უშებლად დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოთ.

ჩვენს სახელმწიფო თეატრში-კი სწორედ ათვალწუნებული ჰყავთ რეცენზიების დამწერნი, ასე რომ ესენი იძულებულნი არიან, სხვა მაყურებელსავით ფული გადიხადონ და ბილეთი იყიდონ. ასეთი ამბავი არა თქმულა და არ გაგონილა მთელის ქვეყნის არც ერთს თეატრში...

თუ ისა ჰგონიათ, რეცენზიების დამწერი საგანგებოდ იმიტომ არის მოსული, რომ გაჰკიცხოს და გაჰკილოს, რასაც-კი ჰნახავს და გაიგონებს სცენაზეო, დიდად შემცდარნი არიან, ასეთის აზრის უარ-ყოფაც-კი საჭირო არ არის. ქების ღირსს არავინ აძაგებს.

კერძო თეატრები კარგად ჰგრძნობენ ჟურნალ-გაზეთის მნიშვნელობასა და ამიტომ მუქთის წლიურს ბილეთებს ურიგებენ ყველა გაზეთის რედაქციებს. თუ ეს მუქთი ბილეთები კერძო თეატრის პატრონს არა ჰღუპავს, აშკარაა სახელმწიფო თეატრს უფრო უნდა გადვილებოდეს მისი დარიგება. ჩვენის აზრით, თეატრში თუ ნაკლებად დადის ხალხი, ნაკლებად დადის მხოლოდ იმიტომ, რომ დირექცია თეატრს უყურადღებოდ ექცევა ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებს. მარტო ის არა კმარა, რომ პირველ წარმოდგენის შესახებ იყოს რეცენზია, დაბეჭდილი. გაზეთი ყოველს ნაბიჯს თეატრისას თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს. ამ სეზონში, მაგალითებრ, წესად შემოიღეს ერთსა და იმავე ამპლუასათვის ორ-ორის წარმომადგენლის ყოლა, ეს ორნი ერთის ხასიათის როლებს რიგ-რიგად თამაშობენ. შემოიღეს ეს წესი-კი, მაგრამ ეს არტისტები უყურადღებოდ არიან დატოვებულნი, იმათ შესახებ არა იწერება-რა, რეცენზიის დამწერი არავინ არის თეატრში. საზოგადოებამ არა იცის-რა, თუ როგორ ჩაიარა მეორე და მესამე წარმოდგენამ, პირველზედ უკეთ თუ უარესად და სხ.

მაინც სასიამოვნო მოვალეობაც არ არის რეცენზიების წერა და ის ნუ ჰგონიათ, რაკი ბილეთს გაძლევთ უფასოდ, დიდს წყალობას გვიშვრებითო. გაზეთი და თეატრი მჭიდროდ არის შეკავშირებული და თეატრის ავი და კარგი გაზეთის ფურცლებზედ სარკესავით უნდა სჩანდესო.

ბოლოს „ლოგენი“ სამართლიანად დასძენს: წარმოიდგინეთ, რომ გაზეთებმა სულ ერთიან სული გაიტრუნეს და ერთის სიტყვითაც არ მოიხსენიეს თეატრის ავ-კარგიანობა. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ შემთხვევაში ერთი სამად და ერთი ხუთად მეტი ზარალი მოუვათ, ვიდრე მუქთის ბილეთის დარიგებითაო.

## რუსეთი

გზათა სამინისტრომ ცალკე ზედამხედველი კომისია დანიშნა ხუთის უფროს ინსპექტორისაგან შემდგარი და მიანდო მთელის რუსეთის რკინის გზათა დათვალიერება. თითო წევრს ამ კომისიისას დანიშნული აქვს დასათვალიერებლად განსაკუთრებული ნაწილი კერძო და სახელმწიფო რკინის გზებისა. ამ დღეებში უკვე დაათვალიერეს მოსკოვსა და იაროსლავის რკინის გზა და აღმოჩნდა, რომ ყველა კლასის სახალხო ვაგონები ვერ არის შესაფერი ვერც სიდიდითა და ვერც მოწყობილობით. ამიტომ გადასწყვიტეს, რომ 2—4 წლის განმავლობაში ეს ვაგონები სრულიად გადააკეთონ და ისე ატარონ რკინის გზის ლიანდაგზე, ხოლო ვიდრე ეს მოხდებოდეს, ახალი ვაგონები უნდა ამუშაონ.

— იუსტიციის სამინისტროს ამ ჟამად ლაპარაკი აქვს იმ საგანზე, რომ მცირე წლოვან დამნაშავეთა გასამართლება ადვილის რიგითა და წესით იყოს ხოლმე და სასამართლოს ნება ჰქონდეს, ვიდრე იმის განაჩენი ძალაში შევიდოდეს, მცირე წლოვანი დამნაშავეები ყოფა-ქცევის გასასწორებელს თავშესაფარს სახლებში გაგზავნონ ხოლმე.

— უკვე გაათავა მუშაობა იმ კომისიამ, რომელსაც უნდა განეხილა ერთ-კლასიან და ორ-კლასიან საერო სასწავლებლების პროგრამათა პროექტები. ამ კომისიამ გასინჯა ყველა პროექტი პეტერბურგის სამოსწა-

---

შვილის სასახლის წინა და დაიწყო ძახილი: მარგალიტი, ია და ვარდი, ოქროს ზოდი, მუშკამბარი გასასყიდი თვალებზედაო. ხმაურობაზედ, ვინახოთ, გამოვიდა თვალებ-დათხრილი ქალის დედა და უთხრა ამ კაცს: კაცო რაზედა ჰყიდი მაგათაო; მენახშირემ მიუგო, თვალებზედაო; მაშინვე ამოიღო ის თავისი დისწულის თვალები და მისცა მენახშირეს, მენახშირემ გახარებულმა სულ ერთიანად მისცა იმოდენა მარგალიტი, მუშკამბარი, ოქროს ზოდი და ია და ვარდი. მენახშირე მამობილმა სიხარულით მოუტანა ქალს თვალები და ჩაუსხა, ქალს აეხილა თვალები მაშინვე წინანდებურად და ბადრი მთვარესავით გაანათა. ეს მენახშირე თანდა თან უფრო მდიდრდებოდა. ერთ დღეს კიდევ მივიდა თავის მამობილ მენახშირესთან ქალი და უთხრა: მამი, ეს სარჩო ხომ ბევრი გაქვს ალარა გაკლია-რა, წადი ერთი ისეთი საკვირველი კიდობანი შეუკვეთე ე. ი. გააკეთებინე იმ ნაირი, რომ მშვენივრად უკრამდესო, შიგნიდგან იკეტებოდეს-იღებოდეს და გარედგან-კი არაო, მერე, უთხრა ქალმა, ჩამსვი შიგა, წამიყვანე და იმ ხელმწიფის სახლის წინ დააკვრევინე კიდობანსაო, და თუ ვინიცობაა გთხოვონ ღამე იქ დადგმა, უარი არა თქვაო. მამობილი სწორედ ისე მოიქცა, გააკეთებინა კიდობანი, რომელიც მართლა მშვენივრათ უკრამდა, ჩასვა ქალი შიგ და წაიყვანა ხელმწიფის შვილის სასახლის წინ; მივიდა, კიდობანი დააყენა და დააკვრევინა. ამ საკვირველ ხმაზედ ხელმწიფიშვილი გამოვიდა თავისი ცოლით, ბალკონიდამ გადმოხედეს და ძალიან მოეწონათ კიდობანი-საკრავი, მერე ცოლმა უთხრა ხელმწიფის შვილს, ამაღამ აქ დააყენებინე, ნუ გაუშვებ მაგ კიდობანსაო. მართლა ხელმწიფის შვილმა უბრძანა მენახშირეს, რომ კიდობანი ამაღამ ჩემთან გაუშვი, უკრას და საღირელ ფასს მოგცემო; მენახშირემ მოახსენა, შენი ჭირიმე ხელმწიფისშვილო, თუ თქვენს საკუთარს ოთახში დასდგამთ კიდობანს, ხო გაუშვებთ, თუ არა და ვერავის ვანდობო. კარგიო, ხელმწიფის შვილმა შეატანინა და თავის საწოლ ოთახში დაადგმევინა კიდობანი. იმ ღამეს რომ დაიძინეს ყველამ, ხელმწიფის შვილი და თავის ცოლიც რომ გულის ძილში იყვნენ, ქალმა გაალო კიდობანი, გამოვიდა, მივიდა ხელმწიფიშვილთან, ე. ი. თავისს ქმართან, მოუჯდა გვერდით, დასტირა-დასტირა იმდენი რომ, სულ მარგალიტის გროვა დაუყენა გულზედ; შემდეგ ადგა შევიდა კიდობანში და ჩაიკეტა ისევ კარები. ხელმწიფის შვილს მარგალიტის გროვამ გულზედ რომ დაამძიმა, გამოეღვიძა და წამოიძახა: ოჰ, ეს რა დამწოლია გულზედაო, მერე ცოლსაც გამოეღვიძა და რომ ნახა ხელმწიფიშვილის გულზედ მარგალიტის გროვა, სთქვა გუნებაში, უთუოდ დედა ჩემს ჩემი გულისთვის უქნია ასე, იმას დაუგროვებია ხელმწიფის შვილის გულზედ ჩუმათ მარგალიტიო, მაშინ გამოიგონა ხერხი და უთხრა ხელმწიფის შვილს: წუხელის მეცელი დამკვრემა, შენ ველარ გაგაღვიძე, ვიტირე და ჩემგნით არის ეგ მარგალიტის გროვაო; აბა ხელმწიფის შვილს გაუხარდა და სთქვა: უთუოდ ეხლა-კი მოუბრუნდა ჩემს ცოლს შეშინებული გული და ახლა-კი დაიწყებს ისევ თავის უწინდელ ჩვეულობასაო. მეორე დღეს ადგნენ, ნახეს კვალი კიდობნიდგან ლოგინამდენ და ლოგინიდგან კიდობნამდინ, მუშკამბარი მოჰფრქვეულიყო; ამაზედ გაოცებულმა ხელმწიფის შვილმა ჰკითხა ცოლს, ეს რაღა არისო: ეგ ის არის რომაო, წუხელ ოთახში გავდიგამოვდიოდი და მაშინ მე მამეჭრა მუშკამბარიო; მუშკამბარის კვალი-კი პირდაპირ კიდობნისაკენ მიდიოდა, ამაზედ ხელმწიფის შვილს ძალიან ეჭვი ჩაუვარდა, ადგა და დაუძახა კიდობნის პატრონს მენახშირესა და უთხრა: არ იქნება თუ არ გაალე კიდობანი და არ მაჩვენე შიგ რა არისო. რომ აღარ მოეშვა ხელმწიფის შვილი მენახშირეს, მერე დაუძახა მენახშირემ თავის შვილობილს ქალს: შვილო გაალე კარი და გამოდი გარეთაო. ეჰ, რაღა იქნებოდა, ქალმა გაალო კიდობანი და გამოვიდა. დაინახა ხელმწიფის შვილმა თუ არა თავისი ნამდვილი გვირგვინის ცოლი, გადაეხვივნენ ერთმანეთსა და გადაჰკოცნეს, მერე ჰკითხა ხელმწიფის შვილმა ქალს, ეს რა ამბავია, როგორ იყო შენი საქმეო. მერე მოუყვა ქალი სულ ერთიან, ესე იყო ჩემი საქმეო, დედაჩემმა მარილის კვერი მაჭამა, წყალი მამწყურდა, მერე წყლის გულისთვის თვალები დამთხარა და შემდეგ გზაზედ გადამაგდოვა, შენ-კი წამოგიყვანა ეს თავისი ქალიო, მერე გზაზედ ეს მადლიანი მენახშირე წამომეწია, იმან წამიყვანა თავისთან შინ, მიშველა, მერე ესეც გაამდიდრე, შემდეგ აქ გამოვგზავნე თვალების სასყიდლათ ისევ დედა ჩემთან, მომიტანა თვალები, ჩამისხა და ამეხილაო; შემდეგ ახლა იმთენი ვქენი რომ, ისევ მოვახწიე შენამდინაო. მაშინვე ხელმწიფის შვილმა შეატყობინა თავის დედმამას, თავის ამალას რომ, აი ეს არის ჩემი ნამდვილი გვირგვინიო. ოჰ, შენს მტერს ავი რომ, იმ დედესა და იმის ქალს ავი დღე დამართეს, თითო-თითოთ მოაბეს ცხენებს ძუაზედ და სულ ლუკმა-ლუკმა დააჩქლეთინეს, მემრე შეჰყარა ხელმწიფის შვილმა თავისი ამალა და ხელ-მეორეთ ქორწილი გაჰმართეს და ცხოვრებდნენ ერთად, სიკვდილამდინ.

ჭირი იქა ლხინი აქა,
ქატო იქა ფქვილი აქა,
ხელსახოცი არა მქონდა
თქვენთვის ხილი მომეტანა.
ელასა მელასა, ჭიქა მეგიდა ყელასა,
თუ ვერ გამეთ ამ ზღაპრით,
ღმერთი გწყალობდეთ ყველასა.

ნესტორ ბაკურციხელი

ელო ოლქის სამმართველოში წარმოდგენილი და პროგრამები შეიმუშავა შემდეგის საგნებისა ერთ-კლასიანს საერო სასწავლებლებში სასწავლებლად: სამღრთო სჯულისა, რუსულის ენისა, არითმეტიკისა, სუფთა წერისა და საეკკლესიო გალობისა. ორ-კლასიანს სასწავლებლებში ამ საგნებს გარდა უნდა ასწავლონ კიდევ: გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, გეომეტრია და ხაზვა-ხატვა. კომისიამ ამ საგნების პროგრამაც შეიმუშავა. ხატვა თუმცა ყველა სასწავლებელში უნდა ასწავლონ, მაგრამ სავალდებულო საგნად-კი არ იქნება შერიცხული. ზემოხსენებულ საგნების სწავლება კომისიის მიერ შემუშავებულის პროგრამით მხოლოდ იმ სასწავლებელთათვის იქნება სავალდებულო, რომელშიც სამის წლის კურსია და ყმაწვილები წელიწადში 6 თთვეზე ნაკლებ დროს არა სწავლობენ. სწავლის რიგიანად საწარმოებლად კომისიამ საჭიროდ სცნა, რომ ამაზე ნაკლებს დროს არა რჩებოდნენ ყმაწვილები სასწავლებლებში. რამდენი უნდა ისწავლონ ყმაწვილებმა პირველს წელიწადში და რამდენი შემდეგს წლებში, ეს თვით მასწავლებლებზე იქნება დამოკიდებული, მხოლოდ კურსის გათავების დროს ყმაწვილებს ხულ უნდა ჰქონდეთ გავლილი აღნიშნული საგნები დანიშნულის პროგრამით. ერთ-კლასიანს სასწავლებლებში კვირაში 27 საათი უნდა ისწავლონ ყმაწვილებმა, ორ-კლასიანში—28. კომისიის შედგენა და ამ პროგრამების შემუშავება საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით მოხდა და ამ მოკლე ხანში კომისია თავის დადგენილებას სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად.

## წვრილი ამბები

ადრინდელი ერც-ჰერცოგი ავსტრიისა იოგან სალვატორი დაიკარგა და არ იციან, სად არის და სად არა. აიღო თუ არა ხელი გაბსბურგის გვარეულობის პრინცობაზე, იოგან ორტი კაპიტნად შევიდა ერთს სავაჭრო გემზე და იქ დაიწყო სამსახური. 11 ივლისს ლა-პლატიდგან მონტევიდეოში გაემგზავრა და იქიდგან ვალპარაიზოში უნდა წასულიყო გვარჯილის მოსატანად, რომ ევროპაში გამოეგზავნა. აი სამი თთვე გადის და არაფერი ამბავი აღარა ისმის-რა იმაზე. ვენიდგან რამდენიმე წერილი გაუგზავნეს და პასუხი ვერა შეიტყეს-რა: ფოსტას ისევ უკანვე მოაქვს მიწერილი წერილები. ვენაში იოგანს ერთი მოსამსახურე ჰყავს დატოვებული. აქამდის ამას მოსდიოდა ბატონის წერილები, სხვა-და-სხვა საქმეს უთვლიდა ხოლმე, მაგრამ ამ ჟამად აღარც ამ მოსამსახურეს მოსდის რამე ამბავი და წერილი იოგანისგან.

—ბრაზილიის იმპერატორად ნამყოფმა დონ პედ რომ პირდაპირ არაბულის ენიდგან გადმოსთარგმნა პორტუგალიურს ენაზე „ათასი და ერთი ღამე“.

— ამ 1890 წელს მთელს ევროპაში სულ 454 მილიონი კოდი პური მოვიდა და ამერიკაში 171 მილიონი. აქედგან შუა და დასავლეთ ევროპას დასჭირდება 1800—1891 წ. განმავლობაში 123 მილიონი კოდი, აქედან 55 მილიონი ინგლისს და 18 მილიონი კოდი საფრანგეთს. დანარჩენი პური სხვა ქვეყნებში წავა გასასყიდად. მარტო რუსეთი 36 მილიონ კოდ პურს გაჰგზავნის საზღვარ გარედ. ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებს მოსჭარბდება 27 მილიონი კოდი პური, ინდოეთს $9^1/_2$ მილიონი და ავსტრალიას $4^1/_2$ მილიონი კოდი.

— „Journal des Economistes“-ის უკანასკნელს ნომერში საყურადღებო სასტატისტიკო ცნობებია დაბეჭდილი საერო სასწავლებლების მასწავლებელთა შესახებ. მთელს საფრანგეთში სულ 104,485 მასწავლებელია საერო სასწავლებლებში. აქედგან 55,556 კაცია და 48,929 ქალი, ასე რომ ქალები თითქმის ისევე ემსახურებიან ხალხის განათლების საქმეს, როგორც კაცები. 21 დეპარტამენტში მასწავლებელი ქალი უფრო მეტია, ვიდრე კაცი. ჩრდილო დეპარტამენტსა და სენის დეპარტამენტში 4,500-ზე მეტი მასწავლებელი ქალი და კაცია საერო სასწავლებლებში. ყველაზე პატარა დეპარტამენტს დალფორში 280 მასწავლებელია. თითო საზოგადოებას თითო მასწავლებელი მოსდის, ხოლო ზოგიერთს დეპარტამენტში ათ-ათი მასწავლებელიც მოსდის თითო საზოგადოებას. სულ მცირე ჯამაგირი მასწავლებლისა 300 მანათია, ხოლო უდიდესი ჯამაგირი-კი 2,250 მანათი.

## დეპეშა

25 ოქტომბერი

პეტერბურგი. მემკვიდრე ცესარევიჩი მშვიდობით დაბრუნდა ვარშავაში ნაშუადღევის 4 საათზედ. აქ დაუხვდნენ გენერალ-გუბერნატორი და სხვანი წარჩინებულნი. მემკვიდრე ცესარევიჩი მე-5 საათზედ ისევე წავიდა ვარშავის რკინის გზით.

ფინლიანდიაში კვლავ ასტყდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რკინის გზა გაიყვანოთ სენტ-მიხელსა და პოვენეცზედ ვიბორგიდგან თეთრ ზღვასთანაო.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო სხვა-და-სხვა საშუალების ხმარებას აპირებს ბათუმისა და ყარსის მაზრებში მრეწველობის გასაძლიერებლად; მით უმეტეს, რომ ეს ორივე მაზრა მთა-მადანისა და ხე-ტყით სავსეა.

„Новости“ იუწყება, რომ ციმბირის რკინის გზის გაყვანის საქმე საკეთილოდ გადაწყდა და ეხლა უკვე იმის შესახება აქვთ მოლაპარაკება, რომ ფული იშოვნონ ამ საქმისათვისაო.

სოფია. პრინცის სიტყვის პასუხად კრება თავის ადრესში ამბობს, რომ იმედია, სულთანი ითავებს და დიდთა სახელმწიფოების წყალობით გადასწყვეტს როგორმე ბოლგარიის საქმესაო.

26 ოქტომბერი

ვენა. მემკვიდრე ცესარევიჩი გუშინ მოვიდა აქ 2 საათზედ. ვოგზალზედ დახვდნენ: იმპერატორი და ერცჰერცოგი რუსეთის მუნდირებითა, რუსეთის საელჩო და ჯარების უფროსი. მემკვიდრე ცესარევიჩს ეცვა ავსტრიის უღანის ტანსაცმელი და ლენტი ჰქონდა გადაკეთებული წმ. სტეფანისა. დიდებულმა მეტად გულ წრფელი ხასიათი ჰქონდა. მუსიკამ დაუკრა რუსეთის საერო საგალობელი. იმპერატორმა და მემკვიდრე ცესარევიჩმა წინ გაუარეს საპატიო ყარაულს. შემდეგ წარუდგნენ ორივე ამალანი. გაფურგში ცესარევიჩი და იმპერატორი ეტლით წაბრძანდნენ. საზოგადოება ალტაცებით მიეგება. იმ დღის განმავლობაში მემკვიდრე ცესარევიჩი სადარბაზოდ დადიოდა, ინახულა რუსეთის საელჩო, შემდეგ წაბრძანდა შენბრუნის ციხე-დარბაზში, სადაც საღამოს 6 საათზედ გამართული იყო სადღესასწაულო სადილი.

პეტერბურგის ბირჟა, 22 ოქტომ.

| | მყიდველნი ხ. | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 63 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 132 | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 10 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $220^1/_2$ | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . | $211^3/_4$ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | $210^1/_2$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვალზე გემები.

## განცხადებანი

უმაღლეს საქალებო კურსებ დასრულებულს ჰსურს ასწავლოს ყმაწვილებს ყველა საგნები, რომელსაც გიმნაზიაში ასწავლიან. ადრესი: Тифлисскій вокзалъ. Помощнику начальника желѣзно-дорожнаго депо Барбатенко. Е. Л. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

მ. მურტაზი დაბრუნდა კოლეჯიდგან და კვლავ აძლევს გაკვეთილებს ინგლისურის ენისას, ასწავლის ამ ენაზედ კარგად ლაპარაკს და იმ გვარად გამოთქმას, როგორც მიღებულია ოქსფორდსა და კემბრიჯში. ცოტახანს შეემლება რამდენისამე საათით დღეში გუვერნიორის თანამდებობის აღსრულებაც.

მსურველმა მიჰმართოს: ან დ. ყორღანოვს, გუდოვიჩის ქუჩაზედ, ავინოვის სადგომში და ან: ზუბალოვის სახლების პირდაპირ ეზოში (სადაც ბროდსკის მაღაზიაა), ერევნის მოედანზედ. სწავლა შეიძლება თვით მასწავლებლის სახლშიაც და აგრეთვე მოსწავლეებთანაც. (3—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

ქუთაისის ბანკის საქმე.

წერილები

ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემა ქუთათელისა.

ფასი ერთი შაური.

კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები გნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—54)

Доз. цен. Тифлисъ, 26-го Октября 1890 г. Типо-Литографія Б. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე